წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — ხუთშაბათი, 28 იანვარი 1916 წ. — № 21

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტი ერთ სვეტად 20 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

 წელიწადი მეორე — **საქართველო** — წელიწადი მეორე

უპრემიოდ: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდაშეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

პრემიით: წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები: 1) **სალიტერატურო კრებული „მერანი“** გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) **საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“** წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) **საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.**

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებ. ეღირ. 1 მ. 30 კ., რუკა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

ხელის მოწერა შეიძლება: ქუთაისში: 1) **თომა მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიაში, 2) **კ. ოცხელის** წიგნის მაღაზიაში, 3) **ი. კვიცარიძის** მაღაზიაში. **ბათუმში:** წიგნის მაღაზია „ცოდნაში“. **თბილისში:** ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში **ვასილ ედილაშვილთან.** „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში **ივანე კიკნაძესთან.** **ხოსო ივანიძესთან.** ხარფუხის კლუბის მამასახლის **ალექ. ლორთქიფანიძესთან** და სასტუმრო „უნივერსალში“, წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში **ს. მერკვილაძესთან.** **თელავში:** **ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან** და **კ. ონიკაშვილთან.** **სიღნაღში:** **ნიკო ახმეტელაშვილთან.** **ლაგოდეხში:** **ფორე ზედელაშვილთან.** **ქვემო ქიზიყში:** **ფიფო ალადაშვილთან.** **ზუგდიდში:** **კატო კედიასთან.** **მოსკოვში:** **გრიგოლ ვეშაპელთან.** **გორში:** **ალექსანდრე რომანიშვილთან.** **ხაშურში:** **ტრიფონ ჯაფარიძესთან.** **ჭკადუაში:** **კალისტრატე ალშიბაიასთან.** **დუშეთში:** **მღ. კონსტ. კავკასიძესთან.** **ს. შავში:** **ევგ. დალაქიშვილთან.** **ს. შილდაში:** **ვასილ კევლიშვილთან.** **ს. ენისელში:** **ალ. ჯორჯაძესთან.** **ქობში:** **ზაქარია ედილაშვილთან.** **მაჩხაანში:** **ალექსანდრე ნადირაშვილთან** **და ნიკო კორაშვილთან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი — **პირველი წელი**

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
საამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული
„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 **მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ხელის მოწერა

ეძიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ეძიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ეძიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ეძიმი-დოსტაძარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ეძიმი-დოსტაძარი
ნ. ბ. ბ ა ბ ა ნ ი ნ ი
ყ. ორდინატორი ხარკოვის ინსტიტუტისა, ავადმყოფებს იღებს **ბ. ბ. ბ ა ბ ა ნ ი ნ ი ს** ბინაში, ბ. ბ. ბ ა ბ ა ნ ი ნ ი ს

ჯარის მდგომარეობა დაუზვერიათ. გარეგნულად და ამ ცნობების მიხედვით თითქოს ამ ახლო მომავალში აქ უნდა მოხდეს უსაშინელესი შეტაკებანი.

ჩვენ კარგა ხანია გამოვთქვით ჩვენი აზრი თუ სად უნდა დაიწყოს შეტევა და გადაჭრით დავსძენდით, ჩრდილოეთის ფრონტზე შემოტევა და ბრძოლა უკანასკნელი აქტი უნდა იქნეს ამ ომში თქო. ეს მოსაზრება დავასაბუთეთ. რუსეთის მწერლებიც ამასვე ამბობენ და უმახლობელეს შემოტევის ასპარეზად გალიციის მხარეს ასახელებენ.

ეს აზრი მით უმეტეს უახლოვდება სინამდვილეს, რომ აქ რუსის ჯარის ძლიერი შეტევა კარგა ხანია შეაჩერეს, რადგან ძლიერ ჯარებს მოუყარეს თავი. ამას გარდა უკანასკნელად საჭიროა რუმინეთის პოზიციის გამორკვევა გერმანეთ-ავსტრიელებისათვის და რუსეთის სამხრეთის ომის პირის შესაცვლელად. ჩრდილოეთისაკენ ომს არ დაიწყებენ უმთავრესად იმიტომ, რომ სკანდინავიის სახელმწიფოთა ბრძოლის პირის დაახლოვება და იქმდგომარეობის გამწვავება სრულებით არაა ხელსაყრელი ამ დროულად გერმანელებისათვის.

რუსეთის წინააღმდეგ გალიციის ფრონტზე შემოტევას ალბად კავკასიის პირზე შემოტევაც მოჰყვება. თუმცა უკანასკნელ ფრონტზე შემოტევა, მინამ თოვლი არ გადნება და გზები არ გაიწმინდება, შეიძლება არა მოხდეს რა. კავკასიის ფრონტზე საშინელი დიდი თოვლია და როგორც დათბება, წყალდიდობა და გზების შეკვრა აუცილებელი შედეგი იქნება. ეს ყოველივე იციან ორთავე მოპირდაპირე მხარემ და შემოტევას იქ დაიწყებენ, სადაც ნაკლები წინააღმდეგობა და დამაბრკოლებელი ზღუდე დაჰხვდებათ, თანაც შედეგებს მიაღწევენ. ასეთი გახლავთ რუსეთის სამხრეთის ფრონტი. გუშინდელ დეპეშების ცნობით ცვლილება მსოფლიო ფრონტზე არსად მომხდარა, თუ მხედველობაში მცირე შეტაკებებს არ მივიღებთ.

გ. გ.

თბილისი, 28 იანვარი.

ამერიკის ქარხნებში მომხდარ ცეცხლს სამასი მილიონი მანეთის ზარალი მიუყენებია.

„რუსკი ინვალიდი“ იუწყება, გერმანელები ეხლა ძველი წყება-წყება თხრილების ნაცვლად ჯგუფური ხასიათის სანგრებად აგებენ, მაგრამ ისე კი, რომ პირველ რიგის თხრილების გარღვევისას მოიერიშე მტერს ფრთებიდან მოუარონ და არტილერიის ცეცხლში გაჰხვიონ.

სახელმწიფო სათათბიროს სესია ნორმალ პირობებში იქნება ჩაყენებული.

უხუცესთა საბჭომ გარდასწყვიტა მომავალი სესია ჩაითვალოს უკანასკნელის გაგრძელებად. ამასთანავე სურვილი გამოსთქვა სათათბიროს მოჰხსენდეს შტიურმერისა და საზონოვის დეკლარაცია მდგომარეობის სრულ გამოსარკვევად.

ახალი ამბავი

✦ **აკაკის ხსოვნა.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ, 26 იანვარს ზუგდიდში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეობის თაოსნობით გადაუხდიათ პანაშვიდი დიდებულ მგოსნის მოსახსენებლად.

✦ **საკვები კახეთისათვის.** თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარემ ბ-ნმა დ. ლუკაშვილმა 26 ამა თვეს გაუგზავნა თბილისიდან ჩრდილო კავკასიიდან მიღებული ფქვილი: კელმეჩურის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას 1 ვაგ., ვაქირისას 1 ვაგ., ქვემო მაჩხაანისას 1 ვაგ., ჯუგაანისას 1 ვაგ., მარტყოფისას 1 ვაგ., საგარეჯოსას 1 ვაგ., შაშიანისას 1 ვაგ., აწყურისას 1 ვაგ. და თელავისას 1 ვაგონი. გარდა ამისა გამოგზავნილია ჩრდილო კავკასიიდან კახეთისთვისვე 84 ვაგონი ფქვილი.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარი გამგეობა აცხადებს ბ. ზ. ედილაშვილის საყურადღებოდ, რომ „ძმური სიტყვის“ ფული (3 მან.) დაგვიანებით, საერთო ანგარიშის დაბეჭდვის შემდეგ შემოუვიდა საზოგადოებას. აგრედვე ამ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ მიიღო საზოგადოებამ წ.-კ. ს. სამტრედიის განყოფილებისაგან „ძმური სიტყვის“ 37 მ. რაც შეეხება მღ. ლონ. კიკვიძეს, მას გაეგზავნა ონში „ძ. ს.“ 160 ცალი, მაგრამ როგორც სჩანს გაზეთები გზაში დაკარგულა და ადრესატამდის არ მიუღწევია.

✦ **მოუსავლობისა და წყალდიდობისაგან დაზარალებულთა** სასარგებლოდ ქართულ საქველმოქმედო საზ. მთავარმა გამგეობამ იასონ კახიანისაგან მიიღო 120 მანეთი, შეგროვილი ბათუმში „ფრანცია“-ს სასტუმროს მოსამსახურეთა შორის.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი საჯარო კრება გაიმართება შაბათს, იანვარის 30-ს საღამოს სრულ 8 საათზე, მკურნალთა საზოგადოების დარბაზში (პუშკინის ბიბლიოთეკის თავზე). **საუბარი იქნება ქართულ მართლწერაზე.** შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს საბჭოს წევრი ბ-ნი პეტრე გ. მირიანიშვილი. საუბარს საფუძვლად დაედება პ. მირიანიშვილის წიგნაკი: „გახსოვდე წერა-ლაპარაკის დროს“ ქართულ გრამატიკის წესები). თანდათანობით გარჩეული იქნება წიგნაკში განხილული ყველა საგრამატიკო კითხვა. რადგან სასურველია, კრებას რაც შეიძლება წინდაწინვე მომზადებული მეტი ოპონენტი დაესწროს ქართ. კულტურის მოყვ. საზოგადოების საბჭო მუქთად ურიგებს ყველა მსურველს ბ-ნ მირიანიშვილის ხსენებულ წიგნაკს (მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე 11—2 საათამდე). საზოგადოების საბჭო კვლავ აცხადებს, რომ თანახმად მიღებულ წესისა კრების დარბაზის კარები სრულ 8 საათზე დაიკეტება და კრების შეწყვეტამდე დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

✦ **მორიგი კრება.** დღეს, 28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. განსახილველია მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მიმდინარე ხარჯები.

✦ **ახალი ბანკი.** კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს თბილისში 20 თებერვალს სარაიონო კომიტეტების დელეგატთა კრება, რომელზედაც უნდა გადასწყდეს, როდის გაიხსნას ხსენებული ბანკი და როდისთვის იქმნას შემოტანილი ძირითად თანხის 40 პროცენტი.

✦ **ვაზის წამალი.** თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარეს ბ-ნ დ. ლუკაშვილს გოგირდი ჰქონდა დაბარებული საფრანგეთიდან. ბ-ნ ლუკაშვილს დეპეშა მოუვიდა, რომელმაც ამცნო, რომ დაკვეთილი გოგირდი ვლადიკავკაზში მოვა ჩქარაო.

✦ თავადის მეუღლემ ანნა ანდრონიკაშვილისამ 14 იანვარს, ნინოობის დღეს 15 მანეთი გამოუგზავნა თბილისის ქართველ ქალთა საჩაიე „ძმურ ნუგეშს“, მანვე სურვილი განუცხადა „ძმურ ნუგეშის“ გამგეობას, რომ თავის სახელწოდების დღეს, 3 თებერვალს „ძმურ ნუგეშში“ მორიგეობას გასწევს და ნათესავ-ნაცნობებს მიიღებს.

✦ **სურსათი.** 26 ამა თვეს შემოვიდა თბილისში: ფქვილი 5 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., შეშა 47 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., ხე-ტყე 1 ვაგონი, ხილი 328 ფუთი.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 27 ამა თვეს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 161, ხუნაგიანი 21, სახადიანი 19, საოფლიანი 12, მუცელაიანი 1, წითელი ქარიანი 1 და მენინგიტიანი 2 კაცი.

✦ **დაჯილდოვება.** წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენით და გენერალ-მაიორის ჩინით დაუჯილდოვებიათ მეორე ბრიგადის კომანდირი კვაიჭაძე.

დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

სამხედრო მიმომხილველნი მოელიან ახლო მომავალში გერმანელთა მიერ ფართო შემოტევას, მაგრამ ამავე დროს შვეიციიდან იტყობინებიან, რომ გერმანელთ განზრახვა აქვთ საფრანგეთის ფრონტი გაარღვიონო. რუსული და ინგლისური ჟურნალ-გაზეთობა წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამს და დაბეჯითებით ირწმუნება, შემოტევას უსათუოდ აღმოსავლეთიდან უნდა ველოდეთო.

საქსონიის მეფემ ინახულა ვარშავა.

„ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: რაკიღა დარდანელში მოკავშირეებმა წააგეს საქმე, რუსეთი მათ გავლენის ქვეშ გადავა, რაკიღა ახლა მოკავშირეთა ყურადღება სპარსეთის ყურესკენ გადიხარაო.

ოსმალეთის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადეს იუსუფის ძმა ვაჩეიდინი.

სოფელი და სოფლელები

სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.

(კრიტიკული მიმოხილვა)

შეუძლებელია უარის ყოფა იმ უტყუარის ფაქტისა, რომ ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნისა განიცდიდა რუსული ლიტერატურის დიდს გავლენას. ეს გავლენა აშკარად ეტყობა ჩვენის მწერლობის კორიფეების აზროვნებას და მათს საუკეთესო ნაწარმოებებსაც. ამ ფაქტის გულახთილად აღნიშვნა სრულებით არ ამცირებს, როგორც ზოგიერთებს გონიათ, ჩვენი მწერლების ნიჭს და მათი ნაწარმოებების ღირსებას. ვინ არ იცის, რომ არ არსებობს არსად ისეთი ლიტერატურა, რომელსაც არ განეცადოს ან რომელიც დღეს არ განიცდიდეს იდეის და ფორმის მხრით სხვა ერის ლიტერატურის გავლენას.

ჩინეთის კედლებით შემოზღუდული ერის შემოქმედება, რაც გინდ ბუნებით მდიდარი იყოს ეს ერი, ბოლოს და ბოლოს მაინც გამოფიტდება, დაუძლურდება, სისაღეს დაჰკარგავს სწორედ ისე, როგორც უზარ-მაზარის დარბაზის სუფთა ჰაერი აუცილებლად ფუჭდება და შმორდება, თუ კი დარბაზი დიდის ხნით დახშულ-დახურულია და მოკლებურია სუფთა ჰაერის დენას. რომ ჩვენი ლიტერატურა განიცდიდა და დღესაც განიცდის რუსეთის მწერლობის გავლენას,—ეს ბუნებრივიც არის და აუცილებელიც, რადგანაც ბედი ჩვენის ერისა ისტორიულმა მსვლელობამ და ცხოვრების ჩარხის ტრიალმა რუსეთის ცხოვრებასთან გადაკვანძ-გადახლართა რასაჭიროა, რას გვარგებს თავის მოტყუება, ყალბი თავ-მოყვარეობა და უარის ყოფა აშკარა და უეჭველის მოვლენისა?! ჩვენ არ გვესმის ზოგიერთი ქართველ კრიტიკოსის ცდა, ევროპის, კერძოდ საფრანგეთის, ლიტერატურაში მონახოს ქართული ლიტერატურის მიმართულების და ხასიათის ამხსნელ-გამაშუქებელი ფაქტორები, ვინ არ მიხვთება, რომ ასეთი ლიტერატურული ექსკურსია მიზან-შეუწონელი და ხელოვნურია. ნუ თუ ვინმე გულწრფელად იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნ. ბარათაშვილის. რ. ერისთავის, გ. წერეთლის და სხვათა შემოქმედებას სახის და თვისებების გარკვევა და ახსნა ღირსეულად, მიუდგომლად შეიძლება გარეშე მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის აზროვნებისა და სხვა და სხვა ლიტერატურულ მიმართულებისა? არა, ბატონებო, ის რაც ისტორიის რკინის კანონით აუცილებელია, ის სამარცხვინო არ არის, მით უმეტეს, რომ ამ აუცილებლობამ ჩვენ, საბედნიეროდ, ვერ შეგვბოჭა, ვერ დაგვიმონავა; პირიქით ამ აუცილებლობის ატმოსფერაში ჩვენ გიმოვიჩინეთ უტყუარი თვით შეგნება, თავისებურობა და თავისუფალი აზროვნება შემოქმედება. ჩვენმა მწერლობამ გადახარშა და მოინელა რუსეთის ლიტერატურიდგან მიღებული საზრდო—იდგა, შეირგო და შეისისხორცა ყოველივე და დღეს თავისუფლად, ლაღად მიდის საკუთარის გზით პროგრესისაკენ,—მიდის ამაყად, მედიდურად ისე, როგორც ამაყი და თავისუფალი მდინარე, შემდგარ-შეზავებული სხვა და სხვა უცხო წყაროთაგან. ვინ იტყვის, რომ „მობუტბუტე“ და „მრავალ დროების მოწამე“ მტკვარი ვითომ ღირსებას ჰკარგავდეს იმით, რომ თავის წიაღში იღებს ბევრს პატარა მდინარეებს, ინელებს, გასთქვეფს მათ და მერე თავისუფლად მიიკლაკნება თავის გზით?

სწორედ ასეთ სურათს წარმოადგენს ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნისა. მან მიიღო და შეითვისა საღი და მაღალი ხარისხის საზრდო, იდგა რუსულ ლიტერატურისაგან, თავისებურად შეიტკბო იგი და მერე განაგრძო დამოუკიდებელი გაზრდა, განვითარება. რომ ეს საზრდო, რუსულ მწერლობისაგან მიღებული, საღი იყო,ამის უარის ყოფა შეუძლებელია. თვით განათლებულნი ევროპიელნი მოწმობენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის მწერლობამ დიდი გავლენა იქონია ევროპიელთა მწერლობაზე, რომ მან ბევრი ახალი თავისებური იდეა შეიტანა მსოფლიო მწერლობაში. (გავიხსენოთ ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი და სხვა). სხვათა შორის ძმურის სიყვარულის და შებრალების ქადაგება, „დამცირებულ და შეურაცხყოფილ“ მოძმეთა მიმართ—აი ის უმთავრესი ლიტერატურული ტენდენცია, რომელიც თან იხლავს მთელს მეცხრამეტე საუკუნის რუსულს მწერლობას და რომელიც ახალ იდეათ შეიჭრა ევროპიელთა ლიტერატურაშიაც. მეორე ძირითად თვისებათ რუსულის ლიტერატურისა უნდა ჩაითვალოს მისი ხალხოსნური მიმართულება, ხალხის სულის და გულის, მისის რწმენა-მისწრაფების ძიებით და გაშუქებით გატაცება. ეს უკანასკნელი თვისება შეადგენს რუსულ ლიტერატურის განსაკუთრებულს თავისებურობას. ამ თავისებურობას არა აქვს პრეცედენტი ევროპის ლიტერატურაში: ის აღმოცენდა და გართულდა რუსულს ნიადაგზე და აქვს ვრცელი ისტორია.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობების გარჩევას ამ ლიტერატურული მიმართულების მოკლე მიმოხილვა წარუმძღვაროთ.

როგორც ყოველგან კრიტიკულ აზროვნების განთიადზე, რუსული ლიტერატურაც უცქეროდა დაბალ ხალხს, როგორც გულუბრყვილო და უდანაშაულო არსებას, რომელიც სცხოვრობდა იდილიურ პირობებში, აუშფოთველად, წყნარად და მორჩილად მისთვის მზრუნავ მთავრობის ხელში. ასეთი იყო შეხედულობა კარამზინისა, ჟუკოვსკისა და საზოგადოდ იმ მწერლებისა, რომლებიც წარმომადგენლები იყვნენ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის აზრ-შეხედულობისა.

როგორც სჩანს, საშინელს ქარიშხალს ხალხის მღელვარება-უკმაყოფილებისას მათთვის შეუმჩნევლად გაუვლია. მაგრამ ამავე დროს, როგორც გამონაკლისი, რუსეთში იყვნენ ისეთი პირნიც, როგორიც, მაგ. ნოვიკოვი და რადიშჩევი. ესენი სულ სხვა თვალსაზრისით უცქეროდენ ხალხს და მის მდგომარეობას. რადიშჩევი და ნოვიკოვი წარმოადგენდნენ გაგრძელებას ხალხის იმ პროტესტისას, რომელიც გამოისახა სხვა და სხვა შფოთში და უკმაყოფილებაში (ამბოხებები, სარწმუნოებრივი წვალებლობა და სხვა). შემდეგში ერთი ნაწილი რუსული ლიტერატურისა აშკარად მიემხრო რადიშჩევის შეხედულობას და განსაზღვრული მიმართულება მიიღო.

იმ დროს, როდესაც რუსეთში „ოფიციალური ეროვნების“ წარმომადგენელნი ამართლებდნენ ხალხის ჩაგვრა-ცარცვას და სულით და გულით სძულდათ დაბალი წოდება,—იმ დროს ხალხოსნური იდეა, რადიშჩევისაგან დათესილი, თანდათან იზრდებოდა და მაგრდებოდა. მეორმოცე წლების რუსული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები: ტურგენევი, გრიგოროვიჩი, პისემსკი და სხვა აშკარად გამოექომაგნენ ხალხს. მხოლოდ ეს არ იყო ლიტერატურა ხალხის შესწავლისა და გაცნობისა,—ეს იყო ლიტერატურა დაცვისა და მფარველობისა. მეორმოცე წლის ლიტერატურა ამტკიცებდა, რომ გლეხიც ადამიანია, რომ მასაც აქვს თავისი ორიგინალური სახე და სული. სხვათა შორის, ამ ლიტერატურის უმთავრესი მიზანი იყო საჯაროთ გამოეთქვა მკაცრი პროტესტი მაშინდელ დროში გამეფებულ ბატონყმობის წინააღმდეგ. ეს იყო დრო ნამდვილ ლიტერატურულ ხალხოსნურის რომანტიზმისა. (იხ. არ. ვვედენსკი: „ლიტერატურული დახასიათებანი“, გვ. 347, 355). ასეთის მიმართულ ის ზედგავლენით რუსეთში თან და თან იზრდება ინტერესი და სიმპატია ხალხისადმი... გრიგოროვიჩს, ტურგენიევს და ნეკრასოვს—ამ „მომნანიებელ აზნაურებს“—გამოუჩდნენ მიმდევარნი. ეს უკანასკნელნი შეეხნენ ისეთს კითხვებს, გააშუქეს ისეთი მხარეები ხალხის ცხოვრებისა, რომელსაც დღემდინ არ შეხებია რუსული ლიტერატურა. სხვათა შორის, მათ შემოიტანეს ლიტერატურაში ხალხური სიტყვები, ხალხური გამოთქმა და მით გააცოცხლეს ლიტერატურული ენა. მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა უნიჭობის და უცოდინარობის მიზეზით, თავის მოთხრობებში მთლად დაამახინჯეს ხალხის ცხოვრება და მით გამოიწვიეს სამართლიანი გაკიცხვა ცნობილი კრიტიკოსის დობროლიუბოვისა.

მაგრამ რაც გინდა იყოს, მაინც მეორმოცე და მესამოცე წლებში ღრმათ ფეხი მოიკიდა ხალხოსნურმა მიმართულებამ, მან საზოგადოთ გააღრმავა და და გააფართოვა სფერო შემოქმედებისა. დადგა ყირიმის ომი, რომელმაც გამოაღვიძა და გამოაფხიზლა რუსის საზოგადოება. გამოღვიძებულმა საზოგადოებრივმა ძალებმა დაიწყეს ძიება იმ უმთავრეს მიზეზისა, რომელიც შეადგენდა რუსეთის სახელმწიფოს სისუსტეს. ასეთ ძიებას შეუდგა თვით მთავრობაც. საკითხი ბატონყმობისა და გლეხობისა გადაიქცა როგორც საზოგადოების, ისე მთავრობის უმთავრეს საკითხად. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, თავისი აღი დაამჩნია მხატვრულ ნაწარმოებსაც. ამ დროს სრულიად მეტი იყო ლიტერატურას ექადაგა ხალხისადმი სიბრალული და სიყვარული, ცდილიყო მკითხველის გულში აღძრა სიმპატია გლეხისადმი, რადგანაც ეს სიმპატია და სიყვარული უკვე ყველას ულვიოდა გულში. მხატვრულ ლიტერატურის წინაშე აღიმართა ახლა სხვა უფრო სერიოზული საკითხები. საჭირო იყო ლიტერატურას გაერკვია ხალხის შინაგანი არსება, მისი საჭიროება და მოთხოვნილება, მოეძებნა და გადაეშალა ძირითადი თვისებები მისის ცხოვრებისა და შეგნებისა. ამის ნათლად გაგება და გარკვევა, რასაკვირველია, ფსიხოლოგიურად არ შეეძლოთ იმ მწერლებს, რომლებიც გამოვიდნენ თავად-აზნაურთა წრეებიდგან. ის, რაც არ შეეძლოთ უკანასკნელთ, ეს მოახერხეს ეგრედ წოდებულ—„რაზნოჩინცებმა“. ბევრნი მათგანნი პირდაპირ ხალხის წრიდგან იყვნენ გამოსულნი, მაშასადამე ზედმიწევნით იცნობდნენ ხალხის მსოფლ-მხედველობას და ცხოვრებას. მათ დაწერეს და დაასურათეს ლიტერატურაში მხატვრულად ის, რაც თვით ჰქონდათ შესწავლილი და შეთვისებული პირდაპირის გამოცდილებით. (იხ. , ნ. II, გვ. 115). „რაზნოჩინცების“ გამოსვლით დასრულდა როლი რუსული ლიტერატურის გლეხის მფარველობა-დამცველობისა და დაიწყო ხანა „შიშველ ჭეშმარიტების“ ძიებისა ე. ი. გლეხის ცხოვრების მიუდგომლად, ობიექტიურად კვლევა-ძიებისა. ასე გაგრძელდა მთელი ოცი წელიწადი. მხოლოდ მართალი უნდა ითქვას, რომ დასაწყისი ამ მიმართულებისა არ გამოდგა ხეირიანი. მისი ტიპიური წარმომადგენელნი ნიკოლოზ უსპენსკი დაადგა მრუდე გზას: მან დაიწყო ჩხრეკა ხალხის წრიდგან მხოლოდ „უგუნური და გათახსირებული ერთეულებისა“. მისი აზრით, რუსის ხალხი გარყვნა და გააფუჭა სიღარიბემ და უმეცრებამ; რუსის გლეხი დალაჩრებული, გამოყრუებული და ლოთია. (იხ. პეტრიკი, გვ. 272).

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ჩიტილი

ეხლა ულვაშ-ულოცოცხლოა საზოგადოდ რუსეთის ცხოვრება. მას მხოლოდ განსაკუთრებული პირობები თუ შეარხევს, შეაშფოთებს, აფიქრებინებს მდგომარეობის შეცვლაზე. ხშირად ბრწყინვალე პერსპექტივებშიც გაჰკრავს ფრთებს

რევოლიუციამდე ასე მიდიოდა ცხოვრება, ჩუჩუნი განსაკუთრებულს წრეებში, რჩეულთა ძახილი რეფორმების შემოსაღებად ისევ გატეხილ გობთან დარჩა, რა წამს სტოლიპინის რკინის მარჯვენამ შეჰბოჭა და დაამსხვრია რევოლიუციის იალქნები. დადგა კვლავ ხანა სიყუჩისა, უთავბოლო ლაყბობისა, რაიც მხოლოდ ომის გამოცხადების დღეს იცვლის ფერს, იცვლის საგრძნობლად: ახალი ოცნებანი, ახალი ბრწყინვალე პერსპექტივები, ახალი მაქსიმუმები უდიდეს რეფორმების მოსახდენად, რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების შესაცვლელად.

პირველი ოფიციალი მერცხალი, რომელმაც გვაუწყა ჩვეულებრივ მიმდინარეობის შეცვლა, გახლდათ „პოლონეთის აღორძინება“. მას ანიჭებენ თავისუფლების ენისას, სარწმუნოებისას, თითქმის თვითმართველობასაც კი ჰპირდებიან. ასეთივე ვენტილანცია მოხდა, ყოველ შემთხვევაში, მოინდომეს მოეხდინათ სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხში.

დიდ რეფორმათა შორის აღიძრა ფინლიანდიის საკითხიც. საკითხთა რაოდენობის სიმძიმე ოდნავაც არ აფიქრებდათ ბელეტრისტულ პუბლიცისტიკით გატაცებულ პსევდო-პოლიტიკოსებს, ყველა საკითხი სალონის საუბრად გარდაიქცა, სუბუქ ანეკდოტების თხრობის სახედ.

ეხლა უკვე ყველასათვის ცხადია, თუ ასეთი ოცნებათა პროპორცია რამდენად ახლო იყო ნორმასთან. მაგრამ ჩვენ ეს როდი გვაინტერესებს,

დეპუტაცია მეფის ნაცვალთან

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ **წარმომადგენელნი მოხევეებისა, მთიულებისა, გუდამაყრელებისა და თრუსოელებისა:** ანდრია კობაიძე, აბრამ ჩოფიკაშვილი და მიხეილ მარსაგიშვილი.

მთელი ხეობა დიდს გასაჭირში ყოფილა ჩავარდნილი ქისტებისა და ჩაჩნებისაგან. თურმე თავს ესხმიან მცხოვრებლებს, ცხვარს სტაცებენ და ჩობნებსაც შეუბრალებლად ჰხოცავენ.

დეპუტაცია დღეს წარუდგება მეფის ნაცვალს და სთხოვს: მეცხვარეებს ჩობნების შესაიარაღებლად ბერდანკები დაურიგონ მოსეულ ავაზაკების მოსაგერიებლად. ჩობნების მაგიერ პასუხისმგებლობას ცხვრის პატრონები კისრულობენ.

დეპუტაცია სთხოვს აგრედვე მეფის ნაცვალს, რომ ცხვრის გადასატარებლად გზების ორივე მხარეს საძოვრად დაეთმოთ მათ 120 საჟენი ადგილი, კავკავიდან დაწყებული კასპის ზღვამდე. ეს საძოვარი ადგილები აუცილებლად სჭირდებათ ცხვრის გადაყვან-გადმოყვანის დროს გზაფხულ-შემოდგომაზე სამ-სამი კვირით. დღეს, თურმე, დიდს გასაჭირს განიცდიან, რადგანაც ცხვრის გატარების დროს ბევრი ჩხუბი და დავიდარაბა ხდება, რომელიც ხშირად მკვლელობით თავდება. დეპუტაციას თხოვნაში აღნიშნული აქვს ოცზე მეტი ასეთი შემთხვევა და აგრედვე ქისტ-ჩაჩნებისაგან მშვიდობიან მცხოვრებთა და მეცხვარე-ჩობანთა ძარცვა და ხოცვა.

თხოვნაში სხვათა შორის, ნათქვამია, თუ ეს ორი თხოვნა მეფის ნაცვალმა არ შეიწყნარა, მთელი ხეობა იძულებული გახდება მეცხვარეობაზე საბოლოოდ ხელი აიღოს. ეს კი მთელი ხევის დამშევას უდრის, რადგანაც მათი ცხოვრების უმთავრეს წყაროს მეცხვარეობა-მესაქონლეობა შეადგენს. დეპუტატებმა იშუამდგომლეს აგრედვე, შესაფერი ზომები იქმნას მიღებული მოთარეშე ქისტ-ჩაჩნების ასალგამავად.

საქართველოს ბიბლიოთეკა

ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ.

არამედ ის, რომ ოცნების ხეივანში გაჩირაღდნებულ მაშხალებს ერთხელაც არ გაუნათებიათ პატარა სრულ უფლებიანი ერი, ერი, რომელიც თავის ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, ერი, რომელიც პირველ ზარბაზნის გასროლისთანავე დაფდაფის ცემით გაემართა ბრძოლის ველისკენ და რომლის მამაცობის ხმამ უცხოელთა შორისაც კი დიადი სახით მიაღწია, აი ამ ერის სახელი, სახელი პატარა ხაქართველოსი, ყოველთვის მივიწყებული იყო და რეფორმათა სიაში არც ერთხელ არ გაჰხსენებიათ. აქტიურ თანაგრძნობად არ გარდიქცა მთელი ერისთვის. პირიქით, თითქოს განგებ, ჩვენს ერს გული დასწყვიტეს ათასგვარი ცილისწამებით, აჭარა, მისი სისხლ-ხორცი მოღალატეთა სიაში მოაქცაეს, სასტიკი სასჯელი მიაყენეს, არ აკმარეს მთელი ქვეყნის აოხრება, გატიალება, არ აკმარეს ომის ქარცეცხლის გადატანა და საბრალდებულო სკამზე დასვეს, თუმცა ისტორიულ პროცესის დროს დამტკიცდა სრული მართებულება ამ პატარა განწირული ერიერისა, სრული სიმართლე. არა ნაკლებ საოცარია ის მოვლენა, რომ ბრალდებულთ მიუყენეს ისეთი მუხლი სასჯელისა, რომელიც კანონის ძალით არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში გამოეყენებინათ, როგორც არ გამოუყენებიათ პოლონეთში ანალოგიურს შემთხვევებში.

ქართველ ერს ასეთი, ვთქვათ, შემთხვევითი და მოულოდნელი პროცესი შეიძლება მოთმინებით გადაეტანა, რომ შემდეგ მაინც სასჯელს კეთილი ნაყოფი გამოეღო და დარბეულთათვის უფლება მიეცათ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ბინაზე. რა ბრძანებაა! აქაც, თითქოს განგებ, მოხდა ახალი შეურაცხმყოფი აქტი. აჭარა არა აჭარელთათვის, არამედ— უცხო ელემენტთათვის! აქ არა ოცნებასთან და პროექტებთან გვაქვს საქმე, არამედ პროგრამის რეალ მუხლთან, რომელმაც, როგორც ფარდა აიხადა და ეხლა ყველასათვის ცხადი გახდა, უკვე რეალი ხორც-შესხმულობა ჰპოვა.

ნუ თუ ზედმეტი რწმუნებაა საჭირო, რომ ჩვენც, როგორც ყველა ერს, არ შეგვიძლიან მარად გატეხილ გობთან ჯდომა, რომ ჩვენც გვსურს სიცოცხლე, გაზრდა? არა გვსურს ვიწამოთ, თუ ჩვენს სიკვდილს დასტურს სცემენ რუსეთის მოწინავე მოაზრეები მაინც, არა გვსურს დავიჯეროთ სრული ინდეფერენტიზმი რუსეთის რჩეულ შვილთა მიერ, მაგრამ... სად არიან ეს რჩეული შვილნი? სად არიან ბატონი სტრუვე, მილიუკოვ-ტრუბეცკო-კოვალევსკები და tutti quanti, რომელნიც მიუკერძებლობისა, პატივისა, დაჩაგრულ ერთა მოსარჩლე და სამართლიანობის ტრიბუნებად ითვლებიან? თუ მართლა ეს ასეა, ნუ თუ ჩვენის ერის კვნესა ოდნავაც არ შეესმა მათს ყურს?

განსაკუთრებულია ჩვენი ბედი. როგორც მთლად ჩვენი ისტორია. თვით მაშინაც კი, როდესაც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება გამოკვერილია ერთსა და იმავე პსიხოლოგიის გრდემლზე, თვით მაშინაც კი, როდესაც განმზადებულია სამსხვერპლოზე გული თვისი დასდოს საყოველთაო დასაწყველად, მას კეთილი სიტყვით, მანუგეშებელი ხმით არავინ გამოეხმაურა, თუ არა ისევ ასეთის უმადური მოპყრობით!

ამ შემთხვევაში მაგალითად აჭარაც კმარა.

დ. კასრაძე.

„საზეიმო სხდომა“

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ აკაკი წერეთლის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში „საზეიმო სხდომა“ გაჰმართა. „ზეიმი“ სხდომისა ამ საღამოს უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ იმ სხდომას სულაც არ ჰქონია ზეიმის ელფერი, რომ იგი... ფრიად უფერული გახლდათ...

საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა ე. ს. თაყაიშვილმა „საზეიმო სხდომა“ მცირე სიტყვით გახსნა, რომლითაც დაახასიათა აკაკის ღვაწლი, თვით სიკვდილის შემდგომაც მისი სულის ჩვენთან ერთად ყოფნა, მისი ანდერძის დიადი მნიშვნელობა და სხვა.

მის შემდეგ მოხსნება წაიკითხა პ. ი. ინგოროყვამ, მოხსენება ვრცელ რეფერატის სახისაა, სამ ნაწილად იყოფა. სამწუხაროდ ლექტორი თავისთვის კითხულობდა, აჩქარებით, მეტისმეტად დაბლა, ასე რომ წინა რიგებში მყოფთაც არა გვესმოდარა. ის, რასაც ყური მოვკარით, ან და რამდენადაც ალღო არ გვატყუებდა გაგვეგო რეფერატის შინაარსი, დიდს კამათს გამოიწვევს. მის მთავარ დებულებათ ბუნდოვან პარადოქსების ელფერი აძევთ. ყოველივე შემთხვევაში წინასწარ დაბეჯითებით არა შეგვიძლიან რა ვსთქვათ, ვიდრე არ გამოქვეყნდება ლექტორის მოხსენება. ის კი უნდა აღვიაროთ, რომ მის კვლევას აზის არა მარტო აჩქარების ბეჭედი, არამედ თანამედროვე ესთეტკრიტიკოსთა წერის მანერაც, რაც ლამაზ სიტყვათა ქარგვით უფრო მოაჯადოვებთ, ვიდრე შინაარსით ის უფრო კარგი თქვენთვის ცივს და დინჯ მკვლევარ ინგოროყვასგან არ მოველოდით ასეთს ნახტომს, რომლის კამარა, უეჭველია, ცდომილ ხაზად აღინიშნება მის ზრდა-განვითარებაში. ნახტომი და მცდარი ნაბიჯივე დავინახეთ აკაკის ლექსთა ფუტურისტულ კილოთი კითხვაში. ნეტავ რით შემიძლიან დავარწმუნო, რომ „ყანაც“ და უკვდავი „განთიადიც“ მხოლოდ ავადმყოფური სიკვდილით სუნთქვდა, ვიდრე სიცოცხლით, რაიც აკაკის პოეზიის დამახასიათებელ თილისმად ითვლება!

ინგოროყვას მოჰყვა ექიმი ი. ს. ელიაშვილი. აქ ისევ წუხილს უნდა მივმართოთ. ვწუხვართ, გულწრფელად ვწუხვართ, რომ მისი „მოგონებანი აკაკის შესახებ“ სრულიადაც არ შეეფერებოდა „საზეიმო სხდომას“. მის მოგონებათა მსმენელნი ისეთს შთაბეჭდილებას ვიღებდით, თითქოს აკაკისთვის ჩვენს წინ საბრალმდებლო ოქმი ჩაუბარებიათ და აჰა გასამართლების პროცესიც დაიწყოო. ასეთს ზეიმს-კი ეკუთვნოდა aut bene aut nihill. რა საჭირო იყო გამოქვეყნება ისეთი ეპიტეტებისა, რომლითაც ვინმემ სადღაც როდისღაც აკაკი მონათლა ან დაახასიათა? ყოველ შემთხვევაში ასეთ „მოგონებათ“ უფრო ვრცელ ბიოგრაფიაში უნდა ჰქონოდა ადგილი იმათ საყურადღებოდ, ვისაც სურს აკაკი შეისწავლოს **მთლად**, გამოიცნოს საიდუმლო მის შემოქმედებითი ნიჭისა, ახსნას თუ როდის რა ან სად დაუწერია მგოსანს და სხვა. კარგი იქნებოდა ბ-ნ ელიაშვილს ასეთი მოგონებანი საზეიმო სხდომიდან სრულიად მოეხსნა...

მესამე განყოფილება აკაკის ლექსებით დაიწყო, გრიგორ რობაქიძემ წაიკითხა „ყანა“ და „სხვა და სხვა სიყვარული“. ის, რაც ითქვა ბ-ნ ინგოროყვას მიერ ლექსის კითხვაზე, უნდა გავიმეოროთ რობაქიძეზეც. გაუგებარია, რად სჭირიათ ასეთი ბუნდოვანობის ქსელში გახვევა იმისა, რაიც ასე სადა და მარტივია? თუ არ დაიშლიან და სიახლის სიო სურთ შემოიტანონ ჩვენში(თუმცა იგი ავადმყოფურ სიოდ მიმაჩნია ვიდრე საღ ნაკადად), მაშინ შესაფერი შინაარსიანი ლექსებიც უნდა მონახონ. საწინააღმდეგო არავის ექნება, თუ ასე წაიკითხვენ ისეთს ელეგიას, როგორიც გახლავთ „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა“, ან და „შემოღამება მთაწმიდაზე“, სადაც როგორც სული ლექსისა, ისე მთელი კოლორიტი იდუმალებით, სიმშვიდითდა უზენაეს მყუდროებით სუნთქავს. მელანქოლიური სამოსელი, ნაღვლიანი გამოთქმა, პითიასებური მთვრალური შეჩერება, სიტყვის გაკვეთა, მონოტონურად გაბმა თხრობისა ყველა ლექს **არ შეეფერება, როგორც არ შეეფერებოდა „ყანას“.** მიკვირს, ბ-ნმა როგაქაძემ ასეთივე კილოთი არ წაიკითხა „სხვა და სხვა გვარი სიყვარული“.

„საზეიმო სხდომას“ ზეიმის სახე ცოტა არ იყოს ბოლოს უფრო დაეტყო. პირველი ამის მერცხალი გახლდათ ბ-ნი ნ. დ. ერისთავი, რომელმაც მოხდენილად, ქართველურ ბუნების დიადი კილოთი რამდენიმე ლექსი წაიკითხა საყვარელ მგოსნისა. სიცოცხლე გაცხოველდა ბ-ნ შალვა შარაშიძის მიერ „სიზმარის“ წაკითხვით და უმაღლეს წერტილს ააღწია ბ-ნ გრ. დიასამიძის მიერ აკაკის დაუბეჭდავ სამი ლექსის გამოქვეყნებით. ამ სამში უთუოდ შედევრად უნდა ჩაითვალოს „ებრაელური მოთქმა“, გამოვტყდებით, ასეთი უცხო კაზმულობა და დიადი შინაარსი აკაკის ბევრს ცნობილ პოემებშიაც არ მოეპოვება. კარგი იქნება კეთილ ინებოს ბ-ნმა გრ. დიასამიძემ და სამთავე, ყოველ შემთხვევაში, ეს „ებრაული მოთქმა“ მაინც მალე გამოაქვეყნოს: იგი უძვირფასესი განძია ჩვენს ლიტერატურაში.

დასასრულს საკუთარი ლექსები უძღვნეს ახალგაზრდა მგოსნებმა შანშიაშვილმა, ქუჩიშვილმა და ფაშალაშვილმა. შანშიაშვილის ლექსი „აკაკისადმი“ ვეფხის-ტყაოსნის კოლორიტით არის მოსილი და ფრიად ნაზ შთაბეჭდილებას სტოვებს.

აი ნიმუში ამ ლექსიდან:

„როს აჟღერდის შენი სული
უმალ შენთან მოვიდიან,
და ამგზნებსა ციურ ჰანგებს
ისმენდიან, გაჰკვირდიან“,

ასე მიჰმართა მგოსანმა დაფნის გვირგვინით შემკობილ ბიუსტს...

რაკიღა ბიუსტიც ვახსენეთ, არ შეიძლება ორიოდ სიტყვით მაინც ამასაც არ შევეხოთ. იგი ეკუთვნის ჩვენს ნიჭიერ მოქანდაკე ი. ნიკოლაძეს საკვეთელს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნიკოლაძეს ნაწარმოებთა შორის იგი შედევრია. აკაკი ზევსურის მეტყველებით შეჰმოსა ჩვენმა მოქანდაკემ. გაშლილი შუბლი და ნათელი თვალები, რომელნიც სივრცეს მისჩერებიან, გიხატვენ მგოსნის მზისადმი დაუსრულებელ ლტოლვას. ამ ბიუსტის დადგმა და გრ. დიასამიძის მიერ გამოქვეყნებული „ებრაული მოთქმა“ ერთთავად ისყიდის „საზეიმო სხდომის“ სიღატაკეს...

დ. კ—ძე.

ელ. ჩარკეზიშვილის იუბილეს გამო

ვინაიდან პროვინციაში ზოგიერთ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათ ლაპარაკი გაუმართავთ იუბილეზე დელეგატების გამოგზავნის შესახებ, დღესასწაულის მომწყობი კომიტეტი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ პირობების მიხედვით დეპუტაციების გამოგზავნა მან უარყო და ამიტომ იმათ ჩამოსვლას მნიშვნელობა ეკარგება მით უმეტეს რომ სიტყვების წარმომთქმელთა რიცხვი ძლიერ შემოკლებულია.

კომიტეტი თავიდანვე იმ აზრის იყო, რომ მოდღესასწაულის პატივისცემა დღევანდელ პირობებში შეიძლება უფრო სხვა სახითაც გამოიხატოს, როგორც მაგალითად მსახიობის მოწვევაა და სხვა.

———

როგორც გავიგეთ თბილისის თავადაზნაურობას გადაუწყვეტია ელ. ჩარქეზიშვილს საჩუქრად სამასი მანათი მიართვას.

———

ქუთაის, სოხუმ და გორიდან მოდღესასწაულეს უკვე მიუღია მოპატიჟების წერილები.

———

ორ თებერვლის დღესასწაულზე ბილეთები კარგად იყიდება. დარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი ადგილები პარტერში და ქანდარაზე.

გაზ. „საქართველოს“ კანტორა

თვიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ იმ პირთ ვინც პირველ თებერვლამდე ფულს არ შემოიტანს გაზეთის გზავნა მოესპობათ.

დეპეშა ჩხენკელს

სახელმწიფო სათათბიროს წევრს ბ. ჩხენკელს შემდეგი დეპეშა მიუღია:

„ოზურგეთის მაზრის სასურსათო კომიტეტმა მცხოვრებთ დახმარებაზე უარი უთხრა. სხვა მაზრის კომიტეტებიც თხოულობენ დაახლოვებით მილიონ ფუთამდე ფქვილს. ოზურგეთის მაზრა ყველაზე მეტად საჭიროებს დახმარებას, შესაძლებელია შიმშილისაგან უბედურობაში ჩავარდენ. საკითხი წყდება ამ დღეებში გუბერნიის სასურსათო კომიტეტში. საჭიროა თქვენი დახმარება“.

ჩხენკელმა მაშინვე გაუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მაცნობეს, რომ ოზურგეთის სასურსათო კომიტეტმა შარშანდელისამებრ უარჰყო მცხოვრებთა დახმარება. სიმშილობა მოელის. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გადასწყვიტოთ საკითხი მცხოვრებთა სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში დანიშნეთ გამოძიება“.

ასეთივე განწყობილება დამშეულთა მიმართ გურიაში ოზურგეთის სასურსათო კომიტეტმა გამოიჩინა შარშანაც და პირველ ხანად უარჰყო დახმარება. მხოლოდ დეპუტატი ჩხენკელის თაოსნობით დაინიშნა გამოძიება, რომლითაც დამტკიცდა საჭიროება მცხოვრებთა და მხოლოდ მაშინ მიეცა მათ დახმარება.

იმედის შუქი *)

(ჩემი შთაბეჭდილებანი)

ერთს ოჯახში ვიყავით მიწვეული. იქ, სხვათა შორის ერთი ახალი საქმის დაწყებაზე ჩამოვარდა საუბარი. ეს ახალი საქმე იქ მყოფთ უნდა გაგვეფართოვებინა, მკვიდრ ნიადაგზე დაგვეყენებინა. ათასი ფიქრი ამეშალა როდესაც ამ ოჯახიდან გამოველ, საუბარის გავლენით.

მართლა ჩვენც გამოსადეგნი ვართ? —ვეკითხებოდი ჩემს თავს უნებლიეთ. კაცი ხანში შევსულვარ, ამ ხნის განმავლობაში ერთ თავათ ჩაგვჩიჩინებდენ ჩვენი „სოციალისტური“ ორგანოები, „ბურჟუაზია“ სამშობლოს გამყიდველია და მას არა აქვს სამშობლო და ერს გადაგვარების გზაზე აყენებსო.“ ქვეყნის სულის ჩამდგმელი მარტოდ მარტო „პროლეტარები, მუშა და გლეხი არისო“. ჩვენ ამისი წინააღმდეგნი არა ვართ და ვგრძნობთ, რომ ქალაქის მშრომელი ხალხი და გლეხობა ქვეყნის მასაზრდოებელია, მაგრამ ამასთანავე იმასაცა ვგრძნობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ქვეყანა დაეყრდნოს ერთს რომელიმე ელემენტზე, ერთ ძალაზე და მით პროგრესს გზა მისცეს ფართო.

ცელი ან რომელიმე სხვა იარაღი რკინისა არის, მაგრამ იმასაც ტარს ხისას უკეთებენ, ამ ტარსაც მომხმარებელი ძალა აამუშავებს. აი ეს კითხვა მებადებოდა თავში ყოველთვის და რაღაც უნდობლად ვუყურებდი კითხვებს, მაგრამ თანამგზავრი არა მყავდა, რომ გამეზიარებინა ჩემი შეხედულება. მაშ, რამ წამოშვა ეს თვალ უწვდენელი და უზარმაზარი, ზედ-მიწევნით კულტურულათ, გონებრივად და ტეხნიკურად გაძლიერებული ევროპა, თუ არა ბურჟუაზიამ? ყოველი თვალხილული და ცოტათ, თუ ბევრათ გონება მახვილი ადამიანი ნათლად დაინახავს, რომ ევროპიელი ბურჟუაზია მიდის იმნაირს ქვეყნებშიც კი როგორიც არის რუსეთი და სხვა ყრუ ქვეყნები და ამ უვიცობით გაჟღენთილს მშრომელ ხალხს სწუწნის ქონებას და გადააქვს თავის ქვეყნის ასაყვავებლად ‰ გასამდიდრებლად. მშრომელი ხალხიც ხარბათ იყენებს იმ ბურჟუაზიის ქონებრივს ძალას და მით ააყვავებს თავის სამშობლოსა და ერს!

ამნაირი წარმოდგენა მქონდა მე კერძოდ და შესაძლებელია სხვასაც ბევრს, მაგრამ ერთმანეთის გვეშინოდა და ვერ უზიარებდით ჩვენს აზრს, რადგანაც აზრის გამხელის გვეშინოდა, დაგვცინებდა ვინმე და „ხულიგანებს“ ‰ „ნაციონალისტებს“ დაგვიძახებდნენ. ჩვენც ცალკ-ცალკე გაჩუმებულნი ვიყავით ორივე ჯურის სოციალისტების გარშემორტყმულნი. კერძოთ მე დარწმუნებული ვარ, და მგონი ბევრიც დამეთანხმოს, რომ იმათ გულწრფელადა სწამთ და უყვართ თავიანთი სამშობლო და ეთაყვანებიან კიდევაც, მაგრამ გატაცებულთ „სოციალისტურის“ განყენებულის იდეებით ვეღარ მოუკრებნიათ იმოდენა ვაჟკაცური ძალა და ნებისყოფა, რომ შეიგნონ, სამშობლოს სიყვარული, რომ მისი სამართლიანი დაცვა და მისთვის ბრძოლა ცოდვა არ არის. ეშინიანთ, მათ არ დაუძახონ „ნაციონალისტი“. ამიტომ ამ სიტყვას ისინი გაურბიან, როგორც ებრაელი ღორის ხორცს! მაგრამ მოაღწია დრო და ჟამმა. იმასაც მოვესწარით, რომ მოვახერხეთ და გავბედეთ ერთს ოჯახში თავის მოყრა და აზრის გაზიარება.

ოჯახიდან რომ გამოვდიოდით კიდევ მიტრიალებდა თავში ეს აზრები და ვფიქრობდი:—„ნეტავი წავიყვანთ საქმეს და არ ულალატებთ? ჩვენ ხომ „მოღალატე ბურჟუები“ ვართ და „გამყიდველნი“?

ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული, გვერდში მომავალმა პატივცემულმა ი. მ. გამომაფხიზლა ის ითვლება ჩვენს წრეში პატივცემულათ და ეს შეძლებაც ნებას აძლევს და სწორედ ამისი მეეჭვებოდა: ვიი თუ ამან გაგვცეს და ავიღალატოს მეთქი, სულ სოციალისტების აზრი მიტრიალებდა თავში, მაგრამ სწორედ იმისმა რიხიანმა ხმამ დამიხსნა და გამომაფხიზლა.

— „იცი რა გითხრა ბ. ი.? მადლობერთს, რომ მგონია თუ ფხიზლად მოვეკიდებით ამ საქმეს, ოავს დავიხსნით განადგურებისაგან და გადაგვარებისაგან და მგონი უნდა დავახწიოთ თავი სოციალისტებს და ეშველოს რამე ხალხს! იცოდე მტკიცედა და ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ეროვნული საქმე გავაღონიეროთ.

მეც მეტის მეტი აღელვებისაგან მივაძახე: მაგ შენს „ქრისტეს აღდგომას“ უპასუხებ „ჭეშმარიტად მეთქი“.

ი. გველესიანი.

იქნება დღესაც არ იყოს დაგვიანებული?

(ერთი დასამარებული პროექტის გამო)

ამ 18—19 წლის წინად, მახსოვს, პირველად გაისმა ხმა, სტავროპოლში საგლეხო ბანკი არსდება, რომელსაც მიზნადა აქვს კავკასიაში ადგილების შეძენა და გადმოსახლებულ რუსებისათვის შეღავათ პირობებში დათმობაო. მახსოვს, ამ ამბავმა ძალიან შეგვაფიქრიანა მაშინდელი განჯელი ქართველობა. ჩვენ ნათლად წარმოვიდგინეთ, რა საფრთხე მოელოდა საქართველოს მკვიდრთ. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ეს ბანკი არა ერთისა და ორი ქართველი თავადაზნაურის მამულს ჩაიგდებდა ხელში და ჩაასახლებდა რუსის გლეხობას ამის გამო კრება მოვახდინეთ და გადავსწყვიტეთ—ქართულ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით მიგვემართნა ქართველი საზოგადოებისათვის, რათა მთელი ქართველობა დავრაზმულიყავით, დაგვეარსებინა საზოგადოება, ჩავწერილიყავით ყველანი წევრებად, შეგვექნა ეროვნული თანხა, რომლის დანიშნულებაც უნდა ყოფილიყო ბანკში დარჩენილ და კერძო პირების (ვინც მოისურვებდა გაყიდვას) მამულების შეძენა და გლეხებისათვის გარდაცემა შეღავათიან პირობებში. გადავსწყვიტეთ, მთელი განჯის ქართველობა უნდა ჩაწერილიყო ამ მომავალ საზოგადოებაში წევრებად. ამოვირჩიეთ ბ. მიხ. სარაჯიშვილი და შესაფერი წერილით გამოვგზავნეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, რომელსაც ვთხოვდით დაებეჭდა ჩვენი „მოწოდება“ თავისი (რედაქციის) შენიშვნა განმარტებით. რედაქცია ჩვენს აზრს თანაგრძნობით შეხვდა და განუცხადა ჩვენ კაცს, რომ იგი (რედაქცია) თვითონა ფიქრობს ამ აზრის განხორციელებას და მალე შეუდგება საქმესაო. წერილი არ დაიბეჭდა და **საქმეც** რედაქციის კაბინეთს არ გასცდა. ამნაირად კეთილი და სასარგებლო აზრი ჩაიხშო და არ განხორციელდა. დღეს, როდესაც „ილუპება მამული“, როდესაც მას, ჩვენ წინაპართა სისხლით მორწყულს, გადამთიელი, ორ გროშად ისაკუთრებს, ხშირად მაგონდება ხოლმე ჩვენი მაშინდელი „პროექტი ეროვნული თანხის შედგენისა“, მაგონდება ჩვენი მაშინდელი აღფრთოვანებული იმედები ქვეყნის ხსნისა. ვინ იცის, რა დიდი საშველი ეყოფა ჩვენ ეროვნულ საქმეს, ეგ კეთდებოდა, რომ ჩვენ ეროვნულ ჩაეხშოთ და იგი ვისშე განეხორციელებინა? ვინ იცის, ამ ოცის წლის განმავლობაში რა დიდი თანხა შესდგებოდა? იქნება ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის მკითხველო?

ვას. ჯაფარიძე.

იმერეთის საგზდელოეგის დეპუტატების მე-56 ყრილობა

18 იანვარი

მედავითნეთა სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ამ საკითხის შესახებ დეპუტატებმა განაცხადეს: მღვდლები სოფლად მედავითნეების უცოდინარობის გამო იტანჯებიან. ყოფილან ისეთი მედავითნეები რომლებსაც რიგიანად არც კითხვა სცოდნიათ, არც ტიბიკონი, გალობა ხომ—სულ არა. ამისთვის საჭიროა სამედავითნო სასწავლებლის დაარსება, საიდანაც მოწაფეები სრული მომზადებული გამოვლენ. სასწავლებლის დაარსების შესახებ უწმ. სინოდიდან ნებართვა უკვე მოსული არის. კრებამ კამათის შემდეგ აირჩია კომისია, რომელსაც მიენდო: 1) პროგრამის შემუშავება, 2) საშუალების გამოძებნა სასწავლებლის შესანახად, 3) რა ცოდნით უნდა მიიღონ ხსენებულ სასწავლებელში მოწაფეები და რა ხნოვანების, და 4) რომელ მონასტერთან უნდა დაარსდეს სასწავლებელი. კრების დადგენილებით სასწავლებელი უსათუოდ რომელიმე მონასტერთან უნდა დაარსდეს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: სპ. ლეკვეიშვილი, რაჟდენ ხუნდაძე, არჩიმანდრიტი ნესტორი, კ. ანთაძე, სამსონ დევიძე, ვლადიმერ მაჭარაშვილი, ივანე მარგიანი და ვლადიმერ ფოფხაძე,

საკითხი ძველი ქართული გალობის შესახებ.

ამ საკითხის შესახებ ადგილობრივ პრესაში დიდი პოლემიკა იმართება ხოლმე და პოლემიკა უკიდურესობამდისაც მიდის, ეს ხდება იმ დროს როცა ჩვენ კიდევ ორი თუ სამი გალობის მცოდნე შეგვრჩენია და ისინიც ძალზე მოხუცებულნი. ეს საკითხი ჩვენში ერთ საჭირბოროტო საკითხად არის მიჩნეული და მოწესრიგებაც დროზე სჭირდება.

ამის შესახებ წაკითხული იქნა დეკანოზ ვასილ დოლაბერიძის შემდეგი წერილობითი მოხსენება:

„ყოველს ფსიხოლოგიურ მოვლენას, ყოველს პსიხოლოგიურ ნამოქმედარს თავისი ევოლიუცია, თავისი წარსული და მომავალი, თავისი ისტორია აქვს. თუ რომ გვინდა ამა თუ იმ მოვლენის აწმყოს შეგნება, მისი წარსული უნდა შევისწავლოთ და თუ მომავალის გათვალისწინება გვსურს, აწმყო უნდა შევიგნოთ, რადგანაც ნამყო მშობელია აწმყოსი და აწმყო-კი მომავლის, ესევე ითქმის ჩვენი საეკლესიო გალობის შესახებაც. ჩვენმა გალობამ ზრდა-განვითარების მხოლოდ ორი საფეხური განვლო. ამ გალობის დასაწყისი საბერძნეთშია. (მამა **ივ. მარგიანი** კითხვას აწყვეტინებს, „ტყუილია, ამ გალობის საფეხური ჩვენშია და არა საბერძნეთში“). კითხვას განაგრძობენ:— ჩვენმა ხალხმა სარწმუნოებასთან ერთად (!) გალობაც საბერძნეთიდან მიიღო, საბერძნეთიდან გადმოიღო. იმ დროს საბერძნეთშიაც გალობა პირველ საფეხურზე იდგა. მაშინდელი გალობა უბრალო ღიღინს უფრო მოაგონებს კაცს, ვინემ დამუშავებული გალობის კილოს. ეს იყო ეგრეთ-წოდებული „unison“-ი. აზიაში ზოგიერთი ამ „unison“-ს ჯერაც არ გასცილებია. მაგრამ მათ თავი მოაქვთ მიუხედავათ იმისა, რომ მათი ულაზათო ცალფა ღიღინი სტანჯავს ევროპიულად გემო განვითარებულ ადამიანს. ჩვენმა ხალხმა-კი მათ წინ გაასწრო და განვითარების მეორე საფეხურზე შესდგა.

„ჩვენმა ხალხმა ეს გალობა გაამშვენიერა, ეროვნული სული შთაბერა, გაასამხმოვანა და მეცხრამეტე საუკუნემდის მიაღწია. აქ კი მისი ბედიც უკუღმა დატრიალდა. განვითარების ნაცვლად ერთ წერტილზე შეჩერდა და დღესაც იმ წერტილს ვერ შორდება. შეიძლება დღესაც ახსოვდესთ თუ როგორ იყო გაჩაღებული გალობა ჩვენს ეკლესიებში.

*) დიდათ ვწუხვართ, რომ ეს წერილი გუშინდელს ნომერში, სამწუხარო შეცდომის გამო, ბოლომოკვეცილი დაიბეჭდა. ამის გამო ხელმეორედ ვბეჭდავთ. **რედ.**

„ჩვენი ეკლესიისა და სუფრის დამამშვენებელი ეს გალობა იყო. მაშინდელი მოლხენა ძილის პირების თქმით გამოიხატებოდა. სწავლება ამ გალობისა ამ რიგად იყო დაყენებული:—

„მასწავლებელი და მოსწავლენი თავს იყრიდენ სენაკებში ზამთრის ვრცელ ღამეებში და გატაცებით სწავლობდენ მას. არავითარი ძალდატანება არ სუფევდა. ყველა ვისაც ხმა და სმენა ნებას აძლევდა ყველა ცდილობდა, რომ წირვა-ლოცვა გაემშვენიერებინა. მაშინ ეკლესია ჩვენში არ მოიძებნებოდა, რომ ორპირი გალობა არ ყოფილიყო. მაგრამ დრო შეიცვალა. ყველას თავისი საქმე მიეცათ და გალობაც სპეციალურ საგნათ შეიქნა და იგი სენაკებიდან გადატანილ იქნა კონსვერატორიებში და კაპელებში. აქ ის გააოთხმოვანეს, გაამშვენიერეს და უმაღლეს წერტილამდის აიყვანეს. ჩვენ კი კონსვერატორია კი არა უბრალო გალობის სკოლაც არ მოგვეპოვება და ამიტომ არის რომ ჩვენი გალობის საქმე ერთ წერტილზე გაიყინა და საზრუნავად ის დაგვრჩა რომ ძველი გალობა სულ არ გადავიწყებულიყო. დღეს ამ განსაცდელს ნეტარხსენებული გაბრიელ ეფისკოპოსის თაოსნობით და განსვენებული ფილიპე ქორიძის დაუღალავი შრომითა და მეცადინეობით რამდენიმეთ თავი დავახწიეთ ნოტებზე გადაღებით. ამ ნოტების მხოლოდ ერთი ნაწილი გამოიცა დანარჩენი ვის აქვს ან სად არის არ ვიცით.

„აგრეთვე კიდევ ბევრი საგალობელია ნოტებზე გადასაღები ⁄ ამის საშუალება არა გვაქვს. ნოტებზე გადასაღებსაც და გადაღებულსაც მეცნიერულათ დამუშავება უნდა. ამ საჭიროებებისთვის საჭიროა ყოველ წლობით გადაიდვას ჩვენი სანთილის საწყობიდან 2500-3000 მანეთამდის. საჭიროა, რომ მოვიწოდოთ ჩვენი გალობის მცოდნე კომპოზიტორი, რომ თავისი განსაკუთრეული კილო-ღირსება არ დაუკარგოს და შეუნარჩუნოს მას. დღეს კი ჩვენი გალობის ნაცვლად უცხო გალობა იჭერს ადგილს. უცხო გალობამ ჩვენში მოწინავე პოზიციები, სკოლებსა და ეკლესიებში უკვე დაიკავა და მას თუ ჩვენი მეცნიერულად დამუშავებული გალობა არ დავუყენეთ წინ იგი მთლად გაბატონდება და შემდეგ ძნელი შეიქნება მისი ჩვენი ეკლესიებიდან გაძევება.

მოხსენების გარდა იყო აგრეთვე შეკითხვა თუ სად ინახება სამღვდელოების ფასით გადაღებული ქართული საეკლესიო საგალობლები და ან თუ მთლიანათ არის დაკული.

რაჟდენ ხუნდაძე (ძველი გალობის ზედმიწევნით მცოდნე) ბატონებო! ჩვენში სოფლად და ქალაქად ძველ გალობას ზედმეტ ბარგათ სთვლიან. ჩვენ ერთი ტროპარის მგალობელიც არ გვყავს. ძველად ასე არ იყო. ჩვენ რომ სურვილი გვქონდეს გალობის შესწავლისა, ტროპარის კი არა მთელი საგალობლების შესწავლაც ადვილად შეიძლებოდა. პირიქით ხელი შეეუწყვეთ ჩვენი ძველი გალობა დაგვეივიწყა და უცხო ხმები შეგვესწავლა. რომ ისიც არ გამოგვეცალოს ხელიდან, რაც ამჟამათ შეგვრჩენია, დიდი მაცადინობა გვჭირდება. ბ. დოლაბერიძე თავის მოხსენებაში თავისებურათ იცავს გალობის საკითხს. შევისწავლოთ ის რაც ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვცეს, რომელიც სულს ღაფავს. მგალობელს წინად იმას ეძახოდნენ, ვისაც მთელი წიგნები გალობით ჰქონდა შესწავლილი. საქმე ბატონებო ისე დაკნინდა, რომ (ტრაბახობით ნუ ჩამომართმევთ) მთელს იმერეთის ეპარქიაში მგალობლის მცოდნე მარტო მე დავრჩი. ვინც იყვნენ, ისინი უკვე დაიხოცნენ. იმათთან შედარებით ბატონებო მე ლანდი ვიყავი. მათთან მე ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი. არც სხვა ეპარქიაში მოიძებნება მგალობლის მცოდნენი. არის სამეგრელოში დიტო ჭალაგანია, მაგრამ იგიც ძალზედ მოხუცებულია და დღეს თუ ხვალ სულს დაღევს. როგორც დოლაბერიძის მოხსენებაში არის მოხსენებული ეპისკოპოზ გაბრიელის დროს გადაღებული იყო 400 საგალობელი. სამღვდელოება დ. ჭოლაგანიას, ივ. წერეთელს და მე პირობით შეგვეკრა, ჩვენ სამი ვგალობდით და ფილიმონ ქორიძე ნოტებზე იღებდა. სამღვდელოებას ამ ნოტების გადაღება სულ დაუჯდა 4,411 მანეთი. ეს ნოტები თუ დაიკარგა, სამუდამოდ დაიკარგება ძველი გალობაც. როგორც მე მახსოვს, ეს ნოტები ინახებოდა კანცელარიაში. ეს ნოტები დასაბეჭდავათ მოითხოვა მგალობელმა მაქსიმე შარაძემ. მან რამდენიმე საგალობელი კიდეც გამოსცა, დანარჩენი კი ჩემის ფიქრით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული. ამას წინათ განსვენებულმა ანდრია ზენაშვილმა გადასწერა რამდენიმე ნოტები, მაგრამ მან თავისებური კილო მისცა და დამახინჯა. წაღებული ნოტები კი სად წაიღო არ ვიცი. და თუ ეხლა სად ინახება ის ნოტები ვერ მივაგენით, საქმე სამუდამოდ წახდება.

მგალობელი **ივლიანე ნიკოლაძე.** წინადადებას იძლევა, რომ გალობის საკითხი მონასტერმა გამოაკეთოს.

რაჟ. ხუნდაძე. ბ-ბო საშვალება უნდა ვიხმაროთ. ავირჩიოთ კომისია რომელსაც მივანდოთ საქმის მოგვარება.

მღვდელი სპირიდონ ლეკვეიშვილი. მამა ხუნდაძის სიტყვიდან ის დასკვნა გამომყავს, რომ გაუწევია ჩვენს სამღვდელოებას ხარჯი და შრომა მაგრამ ნაშრომის შემნახველი არავინ ყოფილა. მ. რაჟდენ ხუნდაძეს ვერ ვუსაყვედურებ, მაგრამ ვიტყვი მაინც, სად იყვნენ იმ დროს, როცა საქმის შველა შეიძლებოდა, რათ არ დაიცვეს ინტერესები ასეთი დიდის საკითხისა, რაზედაც სამღვდელოებას 4411 მანეთიც კი დაუხარჯავს!.. ამ საყვედურის ღირსია ყველა ისინი, ვინც იმ დროს ახლოს უდგენ ამ საკითხს. ეხლა რასაკვირველია ზომები უნდა მივიღოთ, მაგრამ შეიძლება ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში არც კი იყვეს ეს ნოტები. ეხლა მივაქციოთ ყურადღება საზოგადოებას. იგი კრიჭაში გვიდგას,—გაიძახიან, გალობას ყურადღებას არ აქცევენო“. სად არის თვით საზოგადოება, ისინი თვით რათ არ გვაქცევენ ყურადღებას და რათ არ გვეხმარებიან? ჩვენ ბევრ საქმეს ვაკეთებთ. მე ვიცი ისეთი მღვდლები, რომელნიც 19 მანეთს ღებულობენ, კიდევ საერო საქმეს ეხმარებიან. გალობის საკითხი ისე უნდა დადგეს, რომ მთელი ერი მოგვეშველოს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთში გალობა სულ არ არსებობდა იმერეთიდან წაიყვანეს რამდენიმე მგალობელი შეადგინეს რამდენიმე გუნდი სხვა და სხვა ხმებისა. შესდგა ფილარმონიული საზოგადოება, ყველამ მიიღო მონაწილეობა გალობის გასაუმჯობესებლად და საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენეს. აქ კი ასე არ არის. ამას წინათ კომპოზიტორ ფოცხვერაშვილმა თავის კონცერტზე სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სამღვდელოებას მიწასთან გვასწორებდა.

ამ ორი წლის წინათ საადგილ-მამულო ბანკმა ქართულ მომღერალთა გუნდის განკარგულებაში გადადვა 500 მანეთი, თუ რამდენი არ მახსოვს, რომ ფირფიტებზე ნოტები გადაეღოთ, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. ჩვენ უფრო ვართ დაახლოვებული ამ საკითხზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ შევქმნით სასოგადოებას ძველი გალობის აღსადგენად და მოვთხოვთ ქართულ ეროვნულ დაწესებულებებს დახმარებას ისინი არაფერს დაიშურებენ და დიდი ხალისიდაც დაგვეხმარებიან. და ამ საკითხს დასასრული უნდა მიეცეს მანამდის, სანამ ის კაცები გამოგვეცლებოდენ ხელიდან, რომლებმაც ძველი გალობა იციან. იგინიც უნდა დაგვეხმარონ და ვაჭრულად არ უნდა მოგვექცენ. უნდა დავაფასოთ საზოგადოება, შევადგინოთ წესდება, დავისახოთ მიზნათ შეკრება და დაბეჭდვა საგალობლებისა იმ პირების საშვალებით, რომელნიც კიდევ ცოცხლობენ. მარტო სამღვდელოებას ამ საკითხის მოწესრიგება არ შეუძლია თუ თვით ერის კაცები არ მოგვეშველენ. მაშ ბატონებო დავაარსოთ „ქართული გალობის აღმდგენელი საზოგადოება“.

მღვდ. მაჭარაშვილი. გალობა, ეს არის სული და გული ადამიანისა, რომლისთვისაც ჩვენი ქველმოქმედები და დაწესებულებები არას დაიშურებენ. დავაარსოთ საზოგადოება და ისინიც ჩვენთან გაჩნდებიან.

რაჟ. ხუნდაძე. ეხება რა ამ საკითხს დასძენს, რომ ეს საქმე უსათუოდ სამღვდელოებამ უნდა იდვას თავზეო.

ვლადიმერ ფოფხაძე. რასაკვირველია ბ-ბო ეს საკითხი ჩვენ უნდა მოვაგვაროთ და ამისთვის კომისია ავირჩიოთ.

თავმჯდომარე სამსონ დევიძე. ავირჩიოთ კომისია, მაგრამ ამ კომისიას დიდი შრომა სჭირდება. მან არ უნდა დაიძინოს, როგორც სჩადიან სხვა კომისიები. თუ საზოგადოება შესდგება ეს საზოგადოება ჩვენს მიერ უნდა დაფუძნდეს და ჩვენ შემდეგ შემოგვიერთდებიან ერის კაცნიც. აგრეთვე საჭირო იქნება კომისიას მიეცეს ფულით დახმარება საქმეების მოსაგვარებლათ.

დასასრულ კომისიაში აირჩიეს: არხიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, რაჟდენ ხუნდაძე, სამსონ დევიძე, ვ. დოლაბერიძე, ერ. ვეფხაძე, ვლადიმერ ფოფხაძე, იასონ წერეთელი და ტრიფონ ჯაფარიძე.

კომისიის განკარგულებაში გადადვეს ჯერ-ჯერობით 500 მანეთი.

კრება დაიხურა საღამოს 5 საათზე. შემდეგი კრება 21 იანვარს.

ნამი.

პროვინციის ქრონიკა

ლეჩხუმი.

აქეთ დიდი სიძვირეა. ფუთი სიმინდი 2 მან. 40 კ. ფასობს, ფქვილი—3 მან. 80 კ. შაქარი გირვანქა 35 კაპ. ხორცი 20 კაპ. განიზრახეს დაარსონ კოოპერატიული ამხანაგობა.

ს. ორბელი.

აქ ძალიან იჩინა თავი ქურდობამ ამას წინად კოოპერატიული დუქანი გასტეხეს ქურდი აქვე მოჰკლეს.

ქ. სოხუმი.

აქ წელს მეტად ცოტა მოაგარაკეა. ყოველგვარი სანოვაგე თანდათან ძვირდება.

— ეს ერთი ხანი შავ ზღვაზე გემების მიმოსვლა დროგამოშვებით სწარმოებს სამგზავრო ბილეთები მეტად ძვირია.

ს. ბაკურციხე (საღ. მაზ.).

17 იანვარს მოხდა ბაკურციხის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობის საკრედიტო ამხანაგობის საგანგებო კრება, ერთხმად არჩეულ იქმნა საბჭოს თავჯდომარედ თავ. ი. დ. ვაჩნაძე გამგეობისა—მღვდელი ი. მაჭავარიანი.

ს. ლესა (გურია).

3 იანვარს მოხდა წლიური კრება ლესის მომხმარებელ ამხანაგობის „იმედი“-ს წევრთა. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მიღება და დამტკიცება წლიური ანგარიშისა 2) არჩევა ახალი გამგეობისა 3) მოგების განაწილება. 4) სარევიზიო კომისიაშია ერთი წევრის არჩევა. კრებამ მიიღო და დაამტკიცა ანგარიში. დაარსების დღიდან ამხანაგობას 225 მან. 60 კ. მოუგია. კრებამ ძველ გამგეობას მადლობა გამოუცხადა. ახალი გამგეობა აირჩიეს. („თ. ა.“)

დ. შორაპანი

აქ არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა, რომლის ძირითადი თანხა, როგორც გრძელ ვადიანი, ისე მოკლე ვადიანი უდრის 43 ათას მან. წევრთა რიცხვი რვაას აღემატება. საზოგადოებას მოუვიდა გასულ წელს ერთი ვაგონი სიმინდი.

რ ა ჭ ა

სიძვირეს საზღვარი არა აქვს. კასრი ღვინო (1 ნახევარი ფუთი) 25 მანეთამდე ფასობს კოდი სიმინდი (2 ფუთი 4 მან. ქურდობა გახშირდა.

შუალავერი

წელს უთოვლო ზამთარია, რაც მოსავლისთვის ძალიან მავნებელია.

მაჰმადიანთა ცხოვრება

მაშმადიანთა სტამბის გაჩხრეკა

13 იანვარს ქ. უფაში ძმ. ქარიმოვთა სავაჭრო განყოფილებასთან არსებული მაჰმადიანთა სტამბა „შარქ“ (აღმოსავლეთი) ადგილობრივმა პოლიციამ გაჩხრიკა. წაიღეს მრავალი ხელნაწერები, წიგნები, სადარბაზო ბარათები და სხვა. გარდა ამისა იპოვეს 157 მანეთის ვერცხლის ფული და გერმანული მანეთიანები. შეიპყრეს ძმ. ქარიმოვები და ყველა იქ მოსამსახურენი. ხმა გავრცელდა, ორენბურგშიც გაჩხრიკეს ამავე ფირმის განყოფილება „თურმუშ“-ია.

სომეხთა ცხოვრება

ლონდონში ქალბატონ რაბინსონის მეთაურობით დაარსებულა ოსმალეთის სომხების ობოლ ბავშვების დამხმარე კომიტეტი, რომელსაც ინგლისში შეუკრეფია მრავალი ტანსაცმელი და ფული.

— გაზ. „ორიზონს“ მიუღია გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ 82,668 მან.

— 17 იანვარს ლექტორი ბრიუსოვი სტუმრად ყოფილა ეჩმიაძინში, გაუმართავთ მის პატივსაცემლად სადილი. სადილის შემდეგ სომეხთა კათალიკოსი სადარბაზოდ ყოფილა ბრიუსოვთან.

— მოსკოვში დაარსებულა სომხის ინჟენერთა საზოგადოება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სომეხთა ყოველგვარ კულტურულ-ეროვნულ საქმეებში.

— ამას წინათ ქ. ვენეციაში გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი ლინგვისტი ნორაირ ბიუზანდაცი.

რუსეთი

სამ ღვდელოების ჯამაგირის მომატება

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, მღვდელმა ტრევუბოვმა სამღვდელოების მონდობილობით ინახულა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კუზმინსკი და სთხოვა, პირველ მოთხოვნილების საგნების გაძვირების გამო სამღვდელოებას ჯამაგირი მოუმატოს. კუზმინსკი დაჰპირდა ამ კითხვის წამოყენებას.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებითვე პასუხი გავცე ბ. კალიას, რომელმაც წერილი მოათავსა ხევიდან გაზ. „საქართველოს“ ამა წლის 1 №-ში. კალია სწერდა:

„მამასახლისი ს. შადურის თავხედობამ ყოველ საზღვარს გადააცილა, პირადს ინტერესებს ემსახურება, არა კმაყოფილდება თავისი ჯამაგირით და ცდილობს ვისმე რამე წაგლიჯოს და იმოდენად გასუქდა, რომ თბილისში სახლების ყიდვას ფიქრობს; ჯარისკაცების ცოლშვილის დასარიგებელ ფულშიაც თვალმა უხარბა, მათაც წაგლიჯა; ხალხმა ამ გმირზედ საჩივარი გაგზავნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა“.

მე ეხლა მესამედ ვარ მამასახლისადა კალიის მეტს ჯერ ჩემთვის ამგვარი ბრალი არავის დაუდვია. ბ. კალიას უნდა ესმოდეს, რომ მარტო ცარიელი სიტყვები საკმარისი არ არის და საჭირო იყო დასაბუთება—როდის და ვის რა წაგლიჯე და რაში გამოიხატა [illegible] ჯარისკაცების ცოლ-შვილისთვის მისაცემი ფულიდან რამე წამეგლიჯოს სიმართლეს მოკლებულია. საქმე ასე იყო: ჯარისკაცების ცოლებმა პირველად ფულის მიღებაში ორ-ორი შაური გამოიღეს სახალხოდ, საჯაროდ და არა დაფარულად და ასეთი ორი შაურის მომცემისგან შესდგა სულ 11 მანეთი, რაიცა დანიშნულებისამებრ საქველმოქმედო საქმისთვის გადაეცა თბილისის გუბერნატორს გამგეობას და არც ერთს ორი შაურის გადამხდელს არაფერი საჩივარი არ გაუგზავნია. წაოდგენილი 11 მანეთის კვიტანცია დღესაც მომრიგებელ შუამავალთან ინახება.

ვიცი ერთი საჩივარი, რომელსაც საჩივარი არ დაერქვა. ვინმე ჩემთვის უცნობმა ჯანდარმერიაში დამბეზღა უსახელო წერილით, ვითომც მთავრობისთვის არა სასურველ ხმებს ვავრცელებდე და ამასთანავე მოღალატეობას ვეწეოდე და სხვა ამისთანები. გამოძიებაც იყო ამის გამო და მაბეზღარის ავკაცობაში დარწმუნდა თვითონ ჯანდარმერიაც.

მამასახლისი **სიმონ შადური.**

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსტნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნეებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონნი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით ⁄ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექითან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელია მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და ძსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსტნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსტნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უძლურობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსტნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქვილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჭლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავაერცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3. отд с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ.—Фармацевтикъ.

ამერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს.	წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ. 9	. 8	.53	საღ.
„	საფ.	„ 3	. 9	.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„ 19-20	3	.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„ 4	. 10	.20	საღ.
„	ჩქარი	„ 6	. 12	.8	დღის
„	სამგ.	„ 8	. 11	.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3	. 11	.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ. 4	. 9	.30	საღ.
„	სამგ.	„ 10	. 9	.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„ 3	. 9	.3	დილ.
„	ჩქარი	„ 5	. 7	.41	საღ.
„	სამგ.	„ 7	. 1	.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„ 19-20	7	.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3	. 8	.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	. .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლული-ამიერ კავ.	9	„ 23	„	„
ნავთლული-კახეთისა.	9	„ 43	„	„
ვაზიანიდან	. .	10 „ 42	„	„
იორიდან	. .	11 „ 35	„	„
საგარეჯოდან	. .	12 „ 17	„	„
ბადიაურიდან	. .	1 „ 15		დღის
მელაანიდან	. .	2 „ 37	„	„
გურჯაანიდან	. .	4 „ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან	. .	4 „ 58	„	„
თელავში მიდის	.	5 „ 35	„	„
გურჯაანიდან	. .	4 „ 18	„	„
კარდენახიდან	. .	4 „ 50	„	„
წნორის-წყალ.	მიდის	5 „ 15	„	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	. . .	8 ს. 58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	. .	9 „ 45	„	„
გურჯაანიდან	. .	10 „ 46	„	„
მელაანიდან	. .	12 „ 02	„	„
ბადიაურიდან	. .	1 „ 13	„	დღის
საგარეჯოდან	. .	2 „ 15	„	„
იორიდან	. .	2 „ 53	„	„
ვაზიანიდან	. .	3 „ 40	„	„
ნავთლულ-კახეთ.	.	4 „ 31	„	„
ნავთლულ-ამიერ-კავ.		4 „ 46	„	„
თბილისში მიდის	.	5 „ 01	„	„
წნორის-წყლიდან	.	9 ს. 16	წ.	დილ.
კარდანახიდან	. .	9 „ 46	„	„
გურჯაანში მოდის		10 „ 16	„	„

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“)

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შაები **„„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები. რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.